საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი ვლადიმერ არკადის ძე

კანდელაკი ვლადიმერ არკადის ძე [16(29). III. 1908, თბილისი, – 10. III. 1994, მოსკოვი], მომღერალი (ბანი-ბარიტონი) და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1970), სტალინური პრემიის ლაურეატი (1952). 1928 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ე. ვრონსკის კლასი), 1933 – მოსკოვის თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტის სარეჟ. ფაკ-ტი (პედაგოგები – მ. ვლადიმიროვა და ბ. მორდვინოვი). 1929-იდან იყო კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩდანჩენკოს სახ. მუს. თეატრის სოლისტი, პარალელურად (1954– 64) - მოსკოვის ოპერეტის თეატრის მსახიობი და მთ. რეჟისორი. კ-მა შექმნა კომედიური და დრამ. სახეები: სტეფანი (ი. შტრაუსის "ბოშათა ბარონი"), საქო (ვ. დოლიძის "ქეთო და კოტე"), სულთანბეგი (უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალალან"), ტარასი (დ. კაბალევსკის „ტარასის ოჯახი"), სალიერი (ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მოცარტი და სალიერი") და სხვ. 1943 თბილისში მისი რეჟისორობით დაიდგა ჟ. ოფენბახის „პერიკოლა"(ოპერისა და ბალეტის თეატრი), ხოლო 1950 მოსკოვში – ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე" (ნ. კემარსკაიასთან ერთად) და სხვ.